

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, საქართველოს ლეიბორისტული პარტიიდან - დავით მამალაძის 2018 წლის

ა ნ გ ა რ ი შ ი.

გამარჯვება ძვირფასო მეგობრებო!

ჩემთვის საპატიოა, რომ ვარ დეპუტატი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი საქართველოს ლეიბორისტული პარტიიდან. ეს არის დიდი გამოწვევა და უდიდესი პასუხისმგებლობა ოზურგეთელი ამომრჩევლებისა და ჩვენი კლასობრივი ელექტორატის წინაშე, რომლებმაც, მიუხედავად დაშინების, შანტაჟის, მოსყიდვის, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებისა, 150 ლარად დაფინანსებული აქტივისტების ზეწოლის, ტენდენციური ტელე-მედია საშუალებების მიერ საზოგადოების ფართო მასების ზომბირების და საყოველთაო ნიჰილიზმის ფონზე, სრულიად უანგაროდ, არ შეშინდნენ, არ გაიყიდნენ, არ მოტყუვდნენ და ისე დაუჭირენ მხარი საქართველოს ლეიბორისტულ პარტიას. მადლობა მათ! ჩვენი ქვეყნისა და რეგიონის ამომრჩევლების საუკეთესო ნაწილს.

როგორც საკრებულოს წევრმა აქტიური მონაწილეობა მივიღე, ფრაქცია „მშრომელთა და ხელმოკლეთა ინტერესების დაცვისათვის“ შექმნაში. ასევე აქტიური და მიზანმიმართული საქმიანობა ჩავატარე 2018 წლის განმავლობაში: კერძოდ, საანგარიშო პერიოდში ვესწრებოდი საკრებულოს გეგმიურ 9 სხდომას, და რიგგარეშე 3 სხდომას. საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების სხდომებს დავესწარი 24-ჯერ. აგრეთვე აქტიურად მივიღე მონაწილეობა ფრაქციის 17 სხდომაში, რომელთა უმეტესობა ჩატარებულ იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილებების, შესაბამისად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ ფრაქციის მიერ შესაბამისი დასკვნები მიეწოდებოდა საკრებულოს ხელმძღვანელობას, მერიის ხელმძღვანელობას, საკრებულოსა და მერიის შესაბამის კომისიებსა და ფრაქციის სამსახურებს.

აქტიურად დავუჭირე მხარი ფრაქციის ინიციატივას სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მომუშავე პერსონალისათვის, აღმზრდელი პედაგოგებისათვის სახელფასო განაკვეთის გაზრდას, რომელიც დღემდე მიუღწეველია.

კატეგორიულად არ ვიზიარებ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიციატივებს და საკრებულოს მხარდაჭერას უძრავ-მოდრავი ქონების საპრივატიზაციო ნუსხაში უპირობო შეყვანას, მათი გასხვისების მიზნით, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებს, ვინაიდან ტენდენცია, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლება ანხორციელებს; კერძოდ ეკონომიკის სრული ლიბერალიზაცია, და აგრძელებს ადგილობრივი ხელისუფლება, არის ანტიხალხური და ანტისახელმწიფოებრივი, რადგან ყველაფრის გაყიდვა ნიშნავს, რომ უძრავ-მოდრავ ქონებას შეიძენს სახელმწიფოსთან შეზრდილი ჩინოვნიკები ე.წ. საქმოსნები (ძვ. ჟარგონით) რომლებიც თავისთავს უწოდებენ, შემდგომში უკეთეს შემთხვევაში ბიზნესმენებს და ფერმერებს, ხოლო უარეს შემთხვევაში ინვესტიციების მიზიდვის მიზნით, საშვილთაშვილოდ ასხვისებენ უცხოელებზე ხვთისმშობლის წილხვედრ მიწაწყალს, წიაღისეულს, სტრატეგიულ ობიექტებს. ეს არის საფუძველი, უსასრულოდ ტრანს ნაციონალური, ველური კაპიტალისტური და ოლიგარქიული დიქტატურის დამყარებისა, ჩვენს რეგიონში და ჩვენს ქვეყანაში, რომელიც, საბოლოოდ გამოიწვევს საზოგადოების აბსოლიტური უმცირესობის გამდიდრებას, აბსოლიტური უმრავლესობის გადატაკების ხარჯზე, და შემდეგ მივიღებთ საზოგადოებაში შიდაკლასობრივი ანტაგონიზმსა და შუღლის გაღვივებას, რომელიც საბოლოოდ სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზრდება.

ერთადერთი, რაზეც მინდოდა მხარი დამეჭირა, ეს იყო უმრავლესობის ფრაქციის მიერ ინიცირებულ პროექტი, კერძოდ „საკრებულოს წევრის ეთიკის კოდექსის“ შემუშავების მცდელობა. მივესალმებოდი ამ ინიციატივას და შესაბამის კომისიას არა ერთი მნიშვნელოვანი და საგულისხმო წინადადება შევთავაზე, მაგრამ, სამწუხაროდ ამ კოდექსის შემუშავების პროცესი შეაჩერა 2018 წელს ქართული ოცნებისა და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებს შორის მომხდარმა „მასკარადმა“, ფიზიკურმა

დაპირისპირებამ, რასაც საზოგადოებრივი აჟიოტაჟი მოჰყვა. ამ პროცესებში აქტიურად მივიღე მონაწილეობა, საჯაროდ დავგმე ძალადობა და მისი გამომწვევი მიზეზიც, რომელიც მსხვერპლის მიერ სოციალურ ქსელში იყო გავრცელებული. დავიცავი დაზარალებული.... შესაბამისად აქტიური წლილი შევიტანე მოვლენების შემდგომი მშვიდობიან დარეგულირებაში.

ვიღებდი მონაწილეობას საკრებულოში არსებული იურიდიული კომისიისა და განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის, და სოციალურ საკითხთა კომისიების მუშაობაში.

ასევე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აქტიურად ვარ ჩართული პარტიულ საქმიანობაში, როგორც პარტიის რეგიონალური კოორდინატორი და საქართველოს ლეიბორისტული პარტიის რეგიონალური კოორდინატორი და საქართველოს ლეიბორისტული პარტიის მთავარი ეროვნული კომიტეტის წევრი. 2018 წელს აქტიურად ვიყავი ჩართული საპრეზიდენტო არჩევნებში და ვიყავი ერთ-ერთი ყველაზე რეალური და უალტერნატივო საპრეზიდენტო კანდიდატის შალვა ნათელაშვილის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელი რეგიონში.

გარდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესებისა დიდ დროს ვუთმობდი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებთან, ამომრჩევლებთან და კერძოდ სხვადასხვა კატეგორიის სოციალურად დაუცველ ადამიანებთან ურთიერთობას, მათ სამართლებრივ დაცვას.

მინდა მივმართო საკრებულოს უმრავლესობას! ის რაც ხდება საფეხბურთო კლუბ მერცხალში, ჩემთვის როგორც ოზურგეტელისათვის და გულშემატკივარისთვის მიუღებელია. ბატონო დავით! გთხოვთ მოგვახმაროთ თქვენი დღევანდელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენა, აქტიურად ჩაერთეთ აღნიშნული საკითხის მოგვარებაში! გადავარჩინოთ მერცხალი და ახალგაზრდა წარმატებული პერსპექტიული ფეხბურთელები!

დაწყებული გვაქვს და რეგიონში ვქმნით პარტიის დავალებით წითელ -- მოსასხამთა (ჟილეტიანთა) სახალხო ლაშქარს, რომლებიც გააპროტესტებს უკანონობას, უსამართლობას, გამვირებულ ტარიფებს, რომელიც ტრანსნაციონალური, ველური კაპიტალისტური და ოლიგარქიული დიქტატურის თანამდევია. და იმედი მაქვს რომ ეს ლაშქარი მალე გამარჯვებულ არმიად გადაკეთდება.

ძირს ტრანსნაციონალური, ველური კაპიტალისტური და ოლიგარქიული დიქტატურა!

ვიბრძობლებთ ბოლომდე, ჩატეხილი ხიდის, სოციალური სამართლიანობის, თავისუფლებისა და ჭეშმარიტი დემოკრატიის აღსადგენად!!!!

საკრებულოს წევრი დავით მამალაძე
01 თებერვალი 2019 წ.